Საფარი 2022

2022 წელს “საფარის” გუნდი გაიზარდა და ჩვენი მუშაობაც გაფართოვდა როგორც რეგიონალურად, ისე შინაარსობრივად. ახლა უკვე ჩვენი იურისტები, თბილისის გარდა აჭარაში, იმერეთში, ქვემო ქართლსა და კახეთშიც მუშაობენ.

2022 წელს ჩვენმა იურისტებმა ჯამში 1572, სოციალურმა მუშაკებმა კი 841 კონსულტაცია გასწიეს. წარმოებაში სულ 473 საქმე მივიღეთ. აქედან 300 ოჯახში ძალადობასა და საოჯახო დავებს ეხებოდა, 69 საქმე სექსუალურ ძალადობას უკავშირდებოდა, 29 ქონებრივ დავებს, 8 სექსუალურ შევიწროებას, ხოლო კიბერდანაშაულზე 7 საქმის წარმოებაში ჩავერთეთ. 60 შემთხვევაზე კი ადმინისტრაციული დავა დავიწყეთ.

176 დასრულებული საქმიდან 146-ზე ჩვენთვის სასურველი შედეგი დადგა.

2022 წელს ჩვენ პირველად აღვნიშნეთ გოგონათა საერთაშორისო დღე, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ 13-დან 25 წლამდე გოგონები, როგორც თბილისიდან ასევე მაღალმთიანი და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან.

2022 წლიდან Safe You-ს გამოყენება უკრაინულ ენაზეც არის შესაძლებელი. ბარდა ამისა, აპლიკაციას დაემატა ორი ახალი ფორუმი - აივ ინფექციასა და სგგი-ს შესახებ, აგრეთვე, საკონსულტაციო სივრცე უკრაინულენოვანი მომხმარებლებისთვის.

2022 წელს, სახელმწიფოს ხანუმ ჯეირანოვას შვილებისთვის კომპენსაციის, ჯამში 100 000 ლარის, გადახდა დაეკისრა. ასევე, ქალის სიკვდილიდან 8 წლის შემდეგ, საქმეში პირველად ბრალი წაუყენეს და დააკავეს 5 კაცი.

Საფარის ახალგაზრდული პლატფორმები, “ფანჯარა” და “განძი” დაჯილდოვდნენ WECF Georgia-ს კონკურსში, “მედია თანასწორობისთვის”.

2022 წელს შევიმუშავეთ კანონპროექტი სექსუალური ძალადობის და დანაშაულების შესახებ, რათა თანხმობის ნაკლებობა ჩაითვალოს გაუპატიურებად.
ჩვენ ასევე აქტიურად ჩავერთეთ ქალთა მოძრაობის აქციის დაორგანიზებაში 25 ნოემბერს.

სქესობრივი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის საკითხებში მადავამზადეთ პროკურორები, გამომძიებლები და იურისტები. ტრენინგების მიმდინარებისას სასწავლო მასალად ვიყენებდით ჩვენივე შედგენილ სახელმძღვანელოს.

სქესობრივი განათლების მნიშვნელობაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ჩავატარეთ კამპანიები.

დაიცავი შენი შვილი - Protect your child
დაიცავი ცოდნით - Protect with knowledge
ჯერ მკითხე - Ask me first
ჩემი სხეული ჩემი არჩევანია - My body, my choice

სქესობრივი განათლების მნიშვნელობაზე სასაუბროდ შევხვდით 150-მდე მშობელს, ქვეყნის ყველა რეგიონში.

2022 წელს ალიმენტის შესახებ მოვამზადეთ 3 კვლევა: ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისა და მისი აღსრულების, ასევე, ალიმენტთან დაკავშირებული საკანონდმებლო თუ სოციო-კულტურული გამოწვევების შესახებ.

- *ალიმენტის აღსრულება - კულტურული და საკანონმდებლო გამოწვევები საქართველოში;*
- *ალიმენტის განსაზღვრა და აღსრულება - საუკეთესო პრაქტიკის კვლევა;*
- *ბავშვის ალიმენტის დანიშვნა და აღსრულება - შედარებით-სამართლებრივი კვლევა.*

ამ კვლევების საფუძველზე, შევიმუშავეთ საკანონმდებლო ცვლილებები ალიმენტის განსაზღვრა-აღსრულების შესახებ;
ასევე, ეკონომიკურ ძალადობასთან დაკავშირებით, ჩავატარეთ ორი საინფორმაციო კამპანია:

- ეკონომიკაSHE - კამპანია ეკონომიკური ძალადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად
- ალიმენტის გადაუხდელობა, როგორც ეკონომიკური ძალადობის ერთ-ერთი ფორმა.

2022 წელს დავიწყეთ მუშაობა კიბერუსაფრთხოების მიმართულებით: ჩავატარეთ ტრეინინგები სოციალური მუშაკების, იურისტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის

წარმომადგენლებისთვის. ასევე, ჩავატარეთ საინფორმაციო კამპანია ონლაინ სივრცეში, უსაფრთხოების წესებისა და კიბერთავდასხმების პრევენციის შესახებ.

2022 წელს, განვაგრძეთ ბავშვთა პანსიონებში მცხოვრებთა მხარდაჭერა. ამ ეტაპზე ვმუშაობთ ნინოწმინდის, მარტვილისა და ფერიის მოქმედ და ყოფილ ბენეფიციარებთან. 50-მდე მათგანს უკვე გავუწიეთ სამართლებრივი, სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა სახის დახმარება. აღსანიშნავია, რომ ნინოწმინდის 5 ყოფილი ბენეფიციარის სახელით მომზადდა სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაგზავნად.
ასევე, პანსიონატების საკითხზე მოვამზადეთ და გამოვაქვეყნეთ რეკომენდაციების პაკეტი.

2022 წელს საფარმა ჩვენ პარტნიორ ორგანიზაცია GDI-სთან ერთად შეაფასა ქართული კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, რათა გამოგვევლინა უფლებადაცვითი საქმიანობის განმსაზღვრელი რეგულაციების ხარვეზები და შეგვემუშავებინა საკანონმდებლო ცვლილებები.

ამასთან, წელს ჩავატარეთ საინფორმაციო კამპანია უფლებადამცველების საქმიანობის შესახებ.

2022 წელის “საფარის” ბიუჯეტი 1 335 774 ლარი იყო. ამ თანხის 35% დაიხარჯა იურიდიული სერვისების მიწოდებაზე, 32% - საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელებაზე, 6% - კვლევებზე, 5% კი მცირე გრანტების გაცემაზე.